ხელშეკრულება №218

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. წყალტუბო 22 ნოემბერი 2017 წელი

ერთი მხრივ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის მერის - გრიგოლ იოსელიანის სახით და მეორე მხრივ, შპს „რაპაკა“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი დირექტორის კახაბერი გვეტაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველო კანონისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმები და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის 1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის ფორმით დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. შესყიდვის ობიექტი, ტექნიკური პირობები და კლასიფიკატორის კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტი - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობისთვის (მდებარე ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №27) სახელიანი ფირფიტების (აბრების) შეძენა (არსებული აბრების გადაკეთება).

2.2. კლასიფიკატორის კოდი: (CPV-44423450).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **65** (სამოცდახუთი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს შემსრულებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ვადა – 2017 წლის 27 ნოემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

4.2. მიწოდების ადგილი - ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №27.

5. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის შესყიდვის პარალელურად მოახდინოს საქონლის შემოწმება, რომლის მიზანია მისი შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

5.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის ან მისი ნაწილის და წუნდების მიზეზების მითითებით.

5.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს, საქართველოს კანონმდებლობითდადგენილი წესით.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს შესყიდვის ნებისმიერ მომენტში შეამოწმოს საქონლის ხარისხი.

5.5. ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების გარანტიის ან სხვა ვალდებულებებისგან.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
6.2. შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი 3 კალენდარული დღის ვადაში.
6.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული საქონლის რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.
6.4. ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ლოჯისტიკის განყოფილების უფროსი.

7. გარანტია

7.1. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას, რომ მიაწოდებს საქონელს არსებული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი ნორმების დაცვით.
7.2. მიწოდებული საქონლის ექსპლუატაციის საგარანტიო ვადა განისაზღვრება 1 (ერთი) წლით, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა. აღნიშნული არ გულისხმობს საანგარიშო პერიოდში დაზიანების აღდგენას, თუ დაზიანება გამოწვეული იქნება მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით.

8. ანგარიშწორების ფორმა და ვადები

8.1. ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით ლარში.
8.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, შემსყიდველის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

9. მხარეთა უფლება-მოვალეობები

9.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
– საქონლის მიწოდების დასრულებამდე ნებისმიერ დროს მოითხოვოს მიმწოდებლისგან მისთვის საჭირო ინფორმაცია;
9.2. შემსყიდველი ვალდებულია:
– უზრუნველყოს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების და პირობების დაცვით.
9.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
9.4. მიმწოდებელი ვალდებულია დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 20%-ის ოდენობით.
10.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვან შესრულებაზე დაეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით.
10.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის, მიმწოდებლის დაჯარიმების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ფაქტიურად მიწოდებული საქონლის ასანაზღაურებელი თანხიდან, საჯარიმო სანქციების თანხა პირდაპირ გადარიცხოს არასაგადასახადო ანგარიშსწორების ერთიან ანგარიშზე სახელმწიფო ხაზინაში.

10.4. საჯარიმო სანქციის გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

11.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 11.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.

11.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს 2017 წლის 29 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი
მის: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქუჩა №25
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში
ხაზინის კოდი: TRESGE22
ა/ა №GE24NB0330100200165022
ს/კოდი: 221274546

მიმწოდებელი:
შპს „რაპაკა"
მის: ქუთაისი, წერეთლისა და ჯიბლაძის ქუჩა №35/2
ს/ს "პროკრედიტ ბანკი"
ბ/კოდი: MIBGGE22
ა/ა №GE54PC0013600100045900
ს/კოდი: 412704505
ტელ: 577532555

მუნიციპალიტეტის მერი
გრიგოლ იოსელიანი

ბ.ა.

დირექტორი
კახაბერი გვეტაძე

ბ.ა.

საქონლის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	სულ ღირებულება (ლარი)
სახელიანი აბრა	10	5	50
დიდი ზომის სახელიანი აბრა	1	15	15
			სულ : 65 ლარი

შპს "რაპაკა"

დირექტორი: /კ. გვეტაძე/

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ხელმომწერი პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და შპს „რაპაკა“-ს შორის 2017 წლის 22 ნოემბერს გაფორმებული **№218** ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის შეძენაზე და თანმდევი მომსახურების გაწევაზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

უფლებამოსილი პირი: _____ ტარიელ ჭეიშვილი